ქონების შეფასება
აუდიტი
Mirza & Co
ქონების შეფასება. აუდიტი. საქართველო
შ.პ.ს. "მირზა და კომპანია"
- ქონების შეფასება
- აუდიტი
- ბიზნეს კონსულტაციები
- ბიზნესის შეფასება
- საბუღალტრო მომსახურება
- ბიზნესის რეგისტრაცია
- ადვოკატი (599 97 20 86)

26 00 83 (ოფისი); (+995) 574 94 74 94

ქ. ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. № 20 (რ)

აიწიეთ ტონუსი რესტორან „ტონუსში“

«ტონუსი» გეპატიჟებათ განახლებულ, ფართო საბანკეტო დარბაზსა და ინდივიდუალურ კუპეებში.
ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, სამძიმო შეხვედრები... ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა რომელიც შესაძლებელია აქ გამართოთ.
აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ქართული და ევროპული კერძები ცოცხალი მუსიკის თანხლებით.
ქ. ოზურგეთი, აკაკის ქ. №29 ტელ: 599 69 50 57; 599 404 401 (რ)

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №14 (10104), 6 აპრილი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

კოოპერატივებმა მინი-ტრაქტორები მიიღეს

ალიონი. გასულ პარასკევს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების გაერთიანების სააგენტომ რეგიონის კოოპერატივებისათვის მინიტრაქტორების გადაცემა დაიწყო.

5-5 მინიტრაქტორი მიიღეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტის კოოპერატივმა ,,ულეველამ"და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომის კოოპერატივმა ,,ციტრუსი პლუს; "თითო-თითო კოოპერატივებმა ,,თოლი," ,,ახალი გურიანთა," ,,გომი გურია."

მინიტრაქტორების გადაცემა შპს ,,მექანიზატორის" ოზურგეთის სერვისცენტრში მოხდა. როგორც სერვისცენტრის მენეჯერმა **ბესიკ გოგიტიძემ** გვითხრა, ფერმერებს გადაეცათ იტალიური, მინიტრაქტორები, რომლებიც ,,ბოშის" ძრავითაა აღჭურვილი. მინიტრაქტორი რამდენიმე ოპერაციას ასრულ\-ებს. მათი ინფორმაციით წელს 155 კოოპერატივზე 440 ერთეული ტექნიკა გაიცემა.

ერთი ერთეული ტექნიკა კოოპერატივ ,,თოლი"-ს გადაეცა. ეს კოოპერატივი სოფ. ფამფალეთში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები კორნელი ინწკირველი და დავით თენიეშვილი არიან.

დავით თენიეშვილი ცნობილი ბიოფერმერია, ოზურგეთის თემების საკრებულოს დეპუტატი. მისი თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია ხილის შენახვა სარეალიზაციოდ. მათი კოოპერატივი სამაცივრე მეურნეობის მოწყობაზე, ხილის მიღება-შენახვაზეა ორიენტირებული.

— ეს ტექნიკა მცირე მეურნეობის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს -გვითხრა დავითმა..

— ჩვენი იდეაა მესაქონლეობის განვითარება, საკვების მოპოვება და რძის გადამამუშავებელი მიკროქარხნის აგებაა—გვითხრა კოოპერატივ ,,ულეველა"-ს თავმჯდომარე **ნევრიზ მიქელაძემ.** ამჟამად კოოპერატივში 30 ოჯახია გაერთიანებული, სადაც 150 მუშახელია. ეს მინიტრაქტორები (მოტობლოკები) დაგვეხმარება ბევრი პრობლემის მოგვარებაში.

ედიშერ სიხარულიძე, *სოფლის მეურნეობის სამინ-*

გვ-2

დაირღვა თუ არა კანონი ინფორმაციის გაუცემლობით და გადაურჩებიან თუ არა ბეგი სიორიძე და ბესიკ მელუა ნათია შარაშენიძისა და ლეიბორისტული პარტიის რისხვას?



თემურ მარშანიშვილი

30 მარტს ,,ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ლეიბორისტული პარტიიდან, ქალბატონმა **ნათია შარაშენიძემ** პრესკონფერენცია გამართა.

დეპუტატმა ადგილობრივ ჟურნალისტებს გააცნო მის მიერ გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე ქალაქის მერიიდან მიღებული წერილობითი პასუხი:

— 25 მარტს მოვითხოვე, რომ კანონით დადგენილ ვადებში, მოეწოდებინათ მონაცემები 2014-2015 წლებში გაცემული ერთჯერადი სოციალური დახმარებების შესახებ, ასევე ინფორმაცია საგარანტიო წერილების შესახებ და სახელობითი სია. ეს საბიუჯეტო თანხებია და მისი განკარგვის გაკონტროლება მსურდა. მქონდა ინფორმაცია, რომ ერთჯერად დახმარებებს მიზანმიმართულად აძლევდნენ არა მათ, ვისთვისაც უნდა მიეცათ. არამედ ოცნების აქტივისტებსა და მათ ოჯახებს.

გუშინ მივიღე მერიიდან წერილობითი პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს ინფორმაცია ძალიან კონფიდენციალურია და მერიას არ შეუძლია მისი გაცემა. ინფორმაცია, რომელსაც ვფლობდი, არის რეალური და ვეჭვობ, მერს არ სურდა, გადამემოწმებინა ეს ყველაფერი, ანუ არის მცდელობა ამ სახით დამალოს, რასაც აკეთებენ, ვისზე გასცემენ ერთჯერად სოციალურ დახმარებებს.

წერილობით პასუხს ხელს ადმინისტრაციის უფროსი ბესიკ მელუა აწერს, მაგრამ მელუა ამას მერთან შეუთანხმებლად ვერ გააკეთებდა.

იყო ასეთი პრეცედენტი, როცა დეპუტატებს გადმოგვეცა წერილობითი სია, თუ ვის გაეწია დახმარება მერის სარეზერვო ფონდიდან, მაგრამ ვინ იღებს სოციალურ დახმარებებს, ეს ვერ გავარკვიეთ. მერია მალავს საჯარო ინფორმაციას, რაც არის კანონით დასჯადი და ვაპირებთ ამის გასაჩივრებას.

გვაქვს ინფორმაცია, რომ დახმარებები გაიცემა მახინჯი ფორმით, ჯერ აიღებს ოჯახის ერთი წევრი, მერე - მეორე და ა.შ. ესენი ყველა ,,ქართული ოცნების" აქტივისტები არიან. მერია არ არის დახურული სივრცე, თუ იქ დეპუტატისთვის გახდება პრობლემა საჯარო ინფორმაციის მოპოვება, მაშინ ამას უბრალო,

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიანთაში ცოფიანმა ძაღლმა რამდენიმე ადამიანი დაკბინა

მარი კოკოევი

ოზურგეთში ცოფის შემთხვევა კვლავ დაფიქსირდა. ამჯერად სოფელ გურიანთაში დოლიძეების ძაღლი გაცოფდა. პირველად ძაღლმა მეზობლად მცხოვრები როინ ზოიძე დაკბინა. დაკბენილს და მისი ოჯახის წევრებს ფაქტი საგანგაშოდ არ ჩაუთვლიათ მანამ, სანამ ძაღლმა კიდევ რამდენიმე მეზობელს არ უკბინა. ძაღლმა, ადამიანების გარდა, პირუტყვსაც გაჰკრა კბილი, მაგალითად ზოიძეების ღორებს. – „დაკბენილი ღორების სახლში გაჩერება შეგვეშინდა, ძაღლიც ჩავაბარეთ, როინი ვაქცინას დღემდე იკეთებს“, – გვითხრეს ოჯახის წევრებმა.

როცა ძაღლის პატრონმა და მეზობლებმა ცოფზე იეჭვეს, სოფლის რწმუნებულს, კოტე ჩიკაშუას და შეესაბამის სამსახურებს აცნობეს.

სურსათის ეროვნული საგენტოს გურიის რეგიონულმა სამმართველომ ძაღლზე დაკვირვება დაიწყო. ძაღლი ოთხ დღეში დაიღუპა. ცხოველის თავი შესაბამისი დიაგნოსტიკისთვის თბილისში გადაგზავნეს.. დადგინდა, რომ საქმე ცოფთან ჰქონდათ. სურსათის ეროვნული საგენტოს თანამშრომლებმა დოლიძეების ოჯახში, შესაბამისი წესების დაცვით, დეზინფექცია ჩაატარეს. ვაქცინაცია უტარდება ყველა დაკბენილს. მეზობლობაში, პატრონების თანხმობით, რამდენიმე ძაღლის მოკვდინება მოხდა. 3 აპრილს მიმდებარე ტერიტორიაზე აიცრა ძროხებიც.

გავრცელდა ხმები რომ ცოფის შემთხვევა მელექედურშიც დაფიქსირდა. მოარული ჭორებით, აქ თხა გაცოფთა. ინფორმაცია უარყო როგორც სურსათის ეროვნულმა საგენტომ, ასევე მელექედურის რწმუნებულმა გაგა ცხომელიძემ.

კახა თავბერიძე (სურსათის ეროვნული საგენტოს გურიის რეგიონული სამმართველო): –„მელექედურში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება გურიანთას შესაბამისი ღონისძიებები უკვე გავატარეთ. ჩვენ გვევალება მსხვილფეხა, წვრილფეხა და ხორცისმჭამელი ცხოველების ვაქცინაცია.“

გაგა ცხომელიძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მელექედურში:

–„ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, მელექედურში ცოფის არანაირ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციათა რაოდენობა 7-მდე გაიზარდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამთავრდა ფრაქციათა ფორმირება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში დღეისათვის უკვე 7 ფრაქცია ფუნქციონირებს:

– „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველო“, თავმჯდომარე გოჩა კილაძე;

– „კოალიცია ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი“, თავმჯდომარე ზაზა გობრონიძე;

– „პატრიოტთა ალიანსი“, თავმჯდომარე შალვა დოლიძე;

– ჩვენი ოზურგეთი“, თავმჯდომარე ალექსანდრე გოგოძე;

– „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“, თავმჯდომარე ვლადიმერ ვადაჭკორია;

– „კოალიცია ქართული ოცნება – კონსერვატორები, თავმჯდომარე თეიმურაზ ბურჭულაძე;

– „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, თავმჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილი.

კოოპერატივებმა მინი ტრაქტორები მიიღეს

ისტროს ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტი:

–4 ცალ ახალ ტექნიკას მიიღებს სოფ. საჭამიასერში შექმნილი კოოპერატივი „ჩხავერი,“ თითო-თითოს „გურია კომპანი“ და ჩაის მინიფაბრიკა (ხიდისთავი). ასეთი მინიტრაქტორი (მოტობლოკი) 3900 ლარი ღირს, რომლის მხოლოდ 23 პროცენტს იხდის კოოპერატივი. სამომავლოდ წარმატებული კოპერატივები დონორი ორგანიზაციებიდან („რიპი,“„ემპარდი“) დაფინანსდებიან.

ევროპის სამეზობლო პროგრამაზე ამყარებს იმედებს კოოპერატივი „ულეველას“ წევრები

– „ემპარდი-საქართველო“-ში ჩართვაზე მუშაობს ჩვენთან ამ პროგრამების წარმომადგენელი გურიაში მარინა სუნგულია. ჩვენ მალე წარვადგენთ ბიზნესგეგმას და იმედი გვაქვს, იქაც გაიმარჯვებს. ვიცით „HASP„-ის საერთაშორისო სტანდარტებზე გასვლა დიდ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან – იმედი გვაქვს მომავალში ქართულ ბაზარს სოფ. ზოტში დამზადებული რძის პროდუქტები და ხორცის ნაწარმიც დაამშვენებს–გვითხრა კოოპერატივ „ულეველას“ თავმჯდომარემ.

სამკითხველო კუთხე, ღია ბარათები, სუვენირები და ტორტი „ტირასიმუ“ უფასო სასადილოს ბენეფიციარებს

გასულ სამშაბათს, 31 მარტს გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობის“ სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა ერთობლივი ღონისძიება. სასკოლო სამოქალაქო კლუბების მოსწავლეების ინიციატივით, ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოში მოეწყო სამკითხველო კუთხე, სადაც განთავსდა მოსწავლეების ინიციატივით შეგროვებული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. მოსწავლეებმა მზრუნველობამოკლებულთათვის დაამზადეს ხელნაკეთი ღია ბარათები და სუვენირები.

ღონისძიებას შეუერთდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სოციალური მომსახურების გურიის სამხარეო ცენტრი, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, კერძო ბიზნესიდან ნამცხვრის სახლი „ტირასიმუ“.

ღონისძიებაში ჩაერთო სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ურეკის, გურიანთის, სოფელ ოზურგეთის, კონჭკათის, ქვემო ბახვის, მაკვანეთის, ჯურუყვეთის საჯარო სკოლებიდან.

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობას“ ახორციელებს **PH Internacional** ამერიკის საერთაშორისო განვითარების (**USAID**) დაფინანსებით. პროგრამა საქართველოს 11 რეგიონში მიმდინარეობს. გურიის რეგიონში პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.

„რუსთავი-2“ და სამაუწყებლო კომპანია „გურია“ ერთი ყოფილა

ალიონი. ამის შესახებ ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთელთა ლიდერმა დავით მამალაძემ განაცხადა 30 მარტს „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ პრესკონფერენციის დაწყებამდე, როცა პრესკონფერენციის მომწვევმა ქალაქის საკრებულოს ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშიძემ იკითხა:

– გურია“ არ ჩანს, რა ვქნათ, დაველოდოთ თუ დავიწყოთ?

– არა, დავიწყოთ. „რუსთავი-2“ ხომ არის? მაგინი ერთია, ასე მითხრეს, თუ „რუსთავი-2“ იქნება, პრობლემა არ არის, ჩვენაც მოგვცემსო, – თქვა დავით მამალაძემ.

პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების პროცესი დაიწყო

პროექტის განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. მისი მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა. ბენეფიციარმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტოში უნდა წარმოადგინოს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი (პროექტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს საგენტოს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით), თანმდევ დოკუმეტაციასთან ერთად. „დანერგე მომავლის“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს: - ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს; - სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 % -ს. ბაღის გაშენების ან სანერგე მეურნეობის მოწყობის სრულად დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამით. გარდა სახელმწიფო თანადაფინანსებისა, პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები მიიღებენ დამატებით სარგებელს: - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საჩუქრად მიიღებენ შესაწამლ აპარატებს; - ყველა ბენეფიციარს აუნაზღაურდება ნიადაგის ლაბორატორიული შემოწმების ღირებულება;

- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყველა ბენეფიციარი მიიღებს ტექნიკურ დახმარებას ბაღის / სანერგე მეურნეობის მოვლის პრაქტიკული ტრეინინგისა და თეორიული კურსის სახით. პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად: 1 000 – 1 200 ჰა-ზე გაშენდება თანამედროვე ტიპის ბაღი და 30 – 40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

დაირღვა თუ არა კანონი ინფორმაციის გაუცემლობით და გადაურჩებიან თუ არა ბეგი სიორიძე და ბესიკ მელუა ნათია შარაშენიძისა და ლეიბორისტული პარტიის რისხვას?

რიგითი მოქალაქეები საერთოდ ვერ შეძლებენ, - აღნიშნა თავის გამოსვლაში ნათია შარაშენიძემ.

ლეიბორისტთა ადგილობრივი ლიდერის დავით მამალაძის თქმით, „ხელისუფლებაში მოსული მილიონერთა და მილიარდერთა ხროვა“ ვერ გადაურჩება მათ რისხვას:

–„დღეს ხელისუფლებაში მოსულია მილიონერთა და მილიარდერთა ხროვა, რომელსაც სურს ეს ბიუჯეტი გამოიყენონ საკუთარ ჯიბედ. მადლობა ღმერთს, რომ მეტეორიტი, რომელიც ეცემოდა დედამიწას, აგვცილდა და გადავრჩით, მაგრამ ვერც ბეგლარ სიორიძე და ვერც ბესიკ მელუა ნათია შარაშენიძისა და ლეიბორისტული პარტიის რისხვას ვერ გადაურჩებიან. მსოფლიოს მოსახლეობის ნებისმიერი ხალხი შეიძლება მოატყუო, მაგრამ გამორიცხულია მოტყუვდეს ქართველი (თუ სირაქლემას პოზაში არ ჩადგება და თავს ძალით არ მოიტყუებს), რომელსაც ჰყავს ლეიბორისტული პარტია“.

დაირღვა თუ არა კანონი დეპუტატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობით?

წერილობით პასუხზე ხელისმომწერის, ქალაქის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბესიკ მელუას თქმით, ქალაქის მერია არ იყო უფლებამოსილი გაეცა ასეთი ინფორმაცია: დეპუტატ ნათია შარაშენიძის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის საჯარო.

ასეთი ინფორმაციის გაცემისას კონსულტაციებს გავდივართ ქალაქის მერიის იურიდიულ სამსახურთან. ერთჯერადი დახმარებების შესახებ ხარჯები რომ გამოეთხოვა, პრობლემა არ იყო, მივაწოდებდით, მაგრამ სახელობითი სია კონფიდენციალურია. ამიტომ წერილობით ვაცნობეთ, თუ რატომაც ვერ გავცემდით შესაბამის ინფორმაციას.

ამ არგუმენტს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისი მუხლით ამყარებს ქალაქის მერიის იურიდიული სამსახური: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა" ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად, „საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას". აქედან გამომდინარე, ქალაქის მერია არ იყო უფლებამოსილი. ქალბატონი ნათია შარაშენიძისთვის მიეცა მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის თამაზ ტრაპაიძის განცხადებით კი, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. თავის მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემი არის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს.

მერიის წერილი ინფორმაციის არმიწოდების თაობაზე კანონიერია, როცა პირი ითხოვს საჯარო ინფორმაციას, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ქალბატონი ნათია შარაშენიძე საჯარო ინფორმაციას არ ითხოვდა. (მერიისადმი მიწერილ განცხადებაში სიტყვა საჯარო მართლაც არ არის ნახსენები, მაგრამ პრესკონფერენციაზე ნათია შარაშენიძემ თქვა, რომ მერია მალავს საჯარო ინფორმაციას. თ. მ.). მან გამოითხოვა იმ პირთა სია, რომლებმაც ქ. ოზურგეთის მერიიდან სოციალური დახმარებები მიიღეს და იგი ამ ინფორმაციას, როგორც ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შესაბამისად, იმავე ადმინისტრაციული ორგანოს, წარმომადგენელი ითხოვდა.

ამდენად, მერიის მიერ ქალბატონი ნათიასადმი მიწერილ წერილში სასურველი იყო იმის დასაბუთება, თუ:

1) რატომ არ შეიძლება ეს ინფორმაცია მიეწოდოს საკრებულოს წევრს, რომელიც თავის მხივ ვალდებულია არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია; არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის მისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა.

2) რატომ ითვლება მერიის აზრით მესამე პირად საკრებულოს წევრი, როცა იგი აღმასრულებელი ორგანოს და მისი თანამდებობის პირების მაკონტროლებელ ფუნქციას უნდა ასრულებდეს და ამავე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია?

ეს ყველაფერი შეიძლება სადავო გახდეს და აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვიოს, მაგრამ საზოგადოებისთვის ღიად რჩება კითხვა: რა გზით მოახერხებენ მოქალაქეები ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის მონიტორინგს სოციალური დახმარების გაცემის კანონიერებასთან დაკავშირებით?

მოქალაქეს ნამდვილად არ მიუწვდება ამ ტიპის ინფორმაციაზე ხელი, რადგან იგი არ მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას და თუ მის მიერ არჩეული საკრებულოს წევრიც ვერ შეძლებს კონტროლს, აღარ იარსებებს საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი. ეს კი ნამდვილად საზიანოა როგორც საზოგადოებისთვის, ისე თვითმმართველობისთვის და, ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის.

ეს საკითხი შესაძლებელია მხარეებს შორის მორიგი დავის საგანი გახდეს.

სხვათა შორის ანალოგიურ თემაზე ამასწინათ საგულისხმო ინფორმაცია გამოაქვეყნა . **gurianiusma~http://gurianews.com/_/left_wide/25952_67_ka/ prokuratura_sasjelaRsruleba_da_Sinagan_saqmeTa_saministroebi_dajarimdnen.html,** რომლის მიხედვით, "საქართველოს მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა დააჯარიმა.

კერძოდ, პროკურატურა და სასჯელაღსრულების სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონიერი საფუძვლის გარეშე გასაჯაროებისთვის 1 000-1 000 ლარით, ხოლო შს სამინისტრო 500 ლარით დაჯარიმდა.

გაზეთის ინფორმაციით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა უწყებები შარშან დააჯარიმა. ამის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, თამარ ქალდანმა სასტუმრო "თბილისი მერიოტში" აპარატის 2014 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა.

ქალდანის განმარტებით, პროკურატურა და სასჯელაღსრულების სამინისტროები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონიერი საფუძვლის გარეშე გასაჯაროებისთვის 1 000-1 000 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო შს სამინისტრო გაუფრთხილებლობით მესამე პირისთვის მონაცემების გამჟღავნებისთვის – 500 ლარით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციით, პროკურატურამ გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა აღნიშნული საქმე მოიგო",– წერს "გურია ნიუსი".

ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობის საფუძველზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ რუსიეშვილების ოჯახს საცხოვრებელი სახლი შეუძინა

3 აპრილს საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის უშუალო ჩარევითა და შუამდგომლობით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აკაკი რუსიეშვილის ხუთსულიან ოჯახს ქალაქ ოზურგეთში (გოგიტიძის ქუჩა № 18), 20 000 ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლი შეუძინა.

რუსიეშვილების ოჯახში ორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს: ოჯახის უფროსი-სულიკო რუსიეშვილი და მისი შვილიშვილი 5 წლის მარიამი. რუსიეშვილების ოჯახი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში სახლობდა, მეწყერმა მათი საცხოვრისი სრულიად დაანგრია და სოციალურად დაუცველი ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა. ოჯახმა ხუთი წელი კარდაკარ სიარულში, გაუსაძლის პირობებში გაატარა. ბოლოს ისინი კოსტავას ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან სახლში, ნაქირავებ ბინაში, ცხოვრობდა, საიდანაც მეპატრონე დღედღეზე გამოსახლებას უპირებდა. სწორედ ამ დროს, 2015 წლის 15 იანვარს, "კალანდობას", მათ საქართველოს პარლამენტის წევრი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ესტუმრა და ქალბატონ სულიკოს საჩუქრად ავსტრიული წარმოების ინვალიდის ეტლი მიუტანა. დეპუტატი უშუალო მოწმე გახდა ამ ოჯახის მძიმე სოციალური პირობების, გაუსაძლისი ყოფის. ქალბატონმა სულიკომ თვალცრემლიანმა უამბო დეპუტატს თავისი გასაჭირი და მოკრძალებული მადლობა გადაუხადა ოჯახში სტუმრობისათვის: –„გეტყობათ, რომ უაღრესად გულისხმიერი და თავმდაბალი ბრძანებულხართ, რომ თავად გვეწვიეთ. შეგეძლოთ საჩუქარი თანაშემწის ხელითაც გამოგეგზავნათ, თქვენ რომ დაგინახეთ თვალს არ დავუჯერე, თქვენი სახით ღმერთი გამომეცხადა. ასეთი კალანდობა ჩემს ღარიბ ოჯახს არასდროს გათენებიაო"- დასძინა მან. ამ ოჯახმა განსაკუთრებული მადლიერება ქალაქ ოზურგეთის მერიის სოციალური განყოფილების უფროსის თამარ დუმბაძის მისამართითაც გამოთქვა თამარ დუმბაძე პატარა მარიამს მკურნალობს და საკმაოდ მაღალი შედეგი აქვს, რითაც ოჯახი მისი ძალიან მადლიერია.

როდესაც ბატონმა ზვიადმა ინვალიდთათვის ეტლების საჩუქრად გადაცემის თაობაზე შეგვატყობინა, გვთხოვა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანები შეგვერჩია. მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლებმა ამ საკითხში დახმარება მუნიციპალიტეტების სოციალურ განყოფილებებს ვთხოვეთ. ქალაქის მერიის სოციალური განყოფილების უფროსმა თამარ დუმბაძემ კი შუამდგომლობა მისი პაციენტის ბებიას, სათნო ქალბატონს, სულიკო რუსიეშვილს გაუწია. ქალბატონი თამარის თქმით, ეს ოჯახი ყოველმხივ საჭიროებდა ყურადღებასა და თანადგომას.

დღეს ოზურგეთის იუსტიციის სახლში რუსიეშვილებისათვის სახლის მუდმივ მფლობელობაში გაფორმების მიზნით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ორი წარმომადგენელი იმყოფებოდა: დიმიტრი გაფრინდაშვილი-ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის, განსახლებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი და ნიკა ბურთაია - ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალიტი. მათ ხელშეკრულება გაფორმეს, რომლის საშუალებითაც რუსიეშვილების ოჯახს ახალი საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში გადაეცა. მათ ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნეს, რომ ამ საქმეში ლომის წილი მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს მიუძღვის.

რუსიეშვილებთან სტუმრობის შემდეგ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა აღნიშნულ სამინისტროსთან, რათა ამ ოჯახს საკუთარი საცხოვრისი ჰქონოდა. დიმიტრი გაფრინდაშვილმა ისიც გვითხრა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე უკვე 1200 სახლი აქვთ ნაყიდი და უსახლკაროთათვის საჩუქრად მიცემული.

რუსიეშვილების ოჯახმა განსაკუთრებული მადლიერება გამოთქვა ყველა იმ ადამიანის მისამართით, ვინც მათი მდგომარეობა გულთაან მიიტანა და ამ საქმეში დაეხმარა. დღეს უკვე სიხარულის ცრემლებით გაიხსენა სულიკო რუსიეშვილმა დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძის მათთან ვიზიტი: –„მისი დამსახურებაა, რომ ჩემს ოჯახს ამიერიდან ჭერი ექნება. ზვიადი რომ არ დაგვხმარებოდა, ჩემს ოჯახს ასეთი სიხარული არ ექნებოდა. კიდევ არ მჯერა. თავი სიზმარში მგონია. ზვიადმა რომ დამეშვიდობა, კარებში გასვლისას მითხრა: არ ინერვიულო, დღეიდან მე ვიზრუნებ თქვენზეო. მაშინ მხოლოდ დაპირება მეგონა. თურმე მისი სიტყვა და საქმე ერთი ყოფილა. მას შემდეგ ტელევიზორში რომ დავინახავ სულ ვლოცავ. აღდგომის მადლი გაახარებს მის ოჯახს"

ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიურო ახალმოსახლეობას და მოახლოებულ აღდგომის დღესასწაულს ულოცავს რუსიეშვილების ოჯახს!

ნინო კუკულაძე
მაჟორიტარი დეპუტატის
ბიუროს პრესსამსახური

თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	90	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	სოფ. ლიხაური	26.05.38.043	1500		1 500	750	50	15 000
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.29.11.011	770	154,7	1 350	675	50	13 564.3
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ოზურგეთი	26.11.08.030	2199		2 420	1 210	50	24 189
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. დვაბზუ	26.02.15.071	1439	№1 - 187,9 №2 - 17,4	2 590	130	50	25 902
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	დაბა წასაკირალი	26.28.18.115	1132	116,2	1245	625	50	12 452
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. შრომა	26.28.18.185	2500		2 500	1 250	50	25 000
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	დაბა ლაითური	26.28.18.191	20		30	15	50	300
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. გურიანთა	26.06.23.047	1124		105	50	50	1 050

თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. წატაწები	26.01.84.051	48		22	15	50	220
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მაღაზია)	სოფ. სილაური	26.09.18.002	273	216	140	70	50	1 400
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარიტუალო სახლი)	სოფ. წატაწები	26.01.84.036	1134	722	2 830	1 415	50	28 224
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ყოფილი უწიგერმაღის შენობა)	დაბა ლაითური	26.25.13.015	977	1312	2 600	1 300	50	26 000

თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს იჯარით წესით სარგებლობისათვის

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	სულ ფართი კვმ	გასაქირავებელი ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	ქონების ნაწილი დირებ-ბა (ლარი)	გასაქირავებელი ქონების ნაწილი დირებ-ბა (ლარი)	გასაქირავებელი ქონების ნაწილი დირებ-ბის 10% (ლარი)	სულ ქირის ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ნატანები, კაპროვანი	26.01.51.167	100	100	100	50	50	9 900	9 900	990	1 000
2	ყოფილი მუზეუმის შენობის I სართული	სოფ. გურიანთა	26.06.25.175	1316; 488	650 202	140	70	50	1800 30 200	890 12 500	89 1 250	1 400

აუქციონებში გამარჯვების კრიტერიუმებია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

გეპატიჟებით პასქის ფესტივალზე

14 აპრილს ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში" ჩატარდება საღდგომო დღეებში უკვე ტრადიციად ქცეული „პასქის ფესტივალი" ანუ საღდგომო კომპოზიციების გამოფენა-კონკურსი და ხელნაკეთობების გამოფენა გაყიდვა. ფესტივალში მონაწილეობა არის მოხალისეობრივი.

2015 წელს ფესტივალს უსრულდება საუბილეო 5 წელი და ამ დროის მანძილზე ეგი ნამდვილად იქცა ჩვენი ქალაქის ექსკლუზივად.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ აღნიშნულ კოორდინატებზე: ტელ: **27 41 44; 595625155. 599787833** ელ-ფოსტა: **liakila8@gmail.com**

სოფელ მთისპირში გამრიცხველიანება დაიწყო

ალიონი. სოფ. მთისპირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იმ რამდენიმე სოფლის რიცხვში იყო, სადაც გამრიცხველიანება არ მომხდარა.

„ენერგო პრო ჯორჯიას" 2014 წელს უნდა დაესრულებინა აქ სამუშაოები, მით უმეტეს სოფლის ცალკეულ უბნებში ელექტროგადამცემი ხაზები ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება და ადამიანისათვის საშიშროებას წარმოადგენს. მთისპირლებმა არაერთხელ გააპროტესტეს ენერგოკომპანიისაგან უყურადღებობა. „ენერგო პრო ჯორჯიას" ოზურგეთის სერვისცენტრის მენეჯერმა გია ნაკაიძემ რედაქციას აცნობა, რომ მთისპირში გამრიცხველიანების სამუშაოები დაიწყო. სოფელში ელექტრობოძების და სხვა საჭირო საშუალებების შეტანას ადასტურებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ვლადიმერ ჩავლეიშვილი.

ურეკში რადარებს დაამონტაჟებენ

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის და ამ რესურსის შესაძლო გამოყენების მიზნობრიობის თაობაზეც იმსჯელეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის მთლიანი მოცულობა შეადგენს 130,5 ათას ლარს.

ამ თანხიდან 50 ათასი ლარი გამოეყო ა (ა) იპ-ს „მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს," რაც საჭიროა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაფინანსებული რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე ეტაპის ფარგლებში დაგეგმილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილი-მაგნეტიტის სანაპირო ზოლის დასუფთავებისათვის 1267486 ლარის ღირებულების ნაგვის შემკრები აღჭურვილობის საწვავით მომსახურებისთვის.

მუნიციპალიტეტს სატრანსპორტო საშუალების შესაძენად 40 ათასი ლარი ჰქონდა გამოყოფილი. ამ თანხისა და სხვა თანხების ეკონომიის ხარჯზე 76,6 ათასი ლარით დააფინანსებენ დაბა ურეკში 2 ერთეული სიჩქარის განმსაზღვრელი რადარისა და 2 ერთეული ვიდეოთვალის კამერის შეძენა-დამონტაჟებისათვის.

–ეს ღონისძიება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და გურიის მთავარი სამმართველოს რეკომენდაციითაა და ის მნიშვნელოვნად გაზრდის საკურორტო სეზონზე ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლების უსაფრთხოებას, სამართალდამრთვევების პრევენციას– აღნიშნა საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა. „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატის მიხეილ გოგოტიშვილის შეკითხვის პასუხად მამაკაიშვილმა დაადასტურა რომ ვიდეოთვალი მიწისა და ქონების გადასახადის მსგავსად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსების ახალი წყარო იქნება.

თვითმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობიან აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მიწ. შენობის ფართი კვმ	„ბე“ 10 % (ლარი)	„ბიჯი“ 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. შემოქმედი	26.28.18.007	30703	№1; №2; №3; №4; №5; №6; №7	3 280	1 640	50	32 800

სააუქციონო პირობები

ა. ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;
ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 6 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
„ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
"აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;
„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;
დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 6 აპრილიდან 7 მაისის 12 სთ-მდე;
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 7 მაისს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;

"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია“ ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."

გია მამაკაიშვილი: „იმდენს გავაკეთებთ გომისმთამ ბახმაროს აჯობოს“

მარი კოკოევი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაიშვილი გვპირდება, რომ გურიის ერთ-ერთ გამორჩეულ კურორტ გომისმთაზე სასიკეთო ცვლილებები განხორციელდება. პირველი მნიშვნელოვანი სიახლე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 15–კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობაა. საგზაო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. ოფიციალური გახსნაც უახლოეს მომავალში შედგება. იგეგმება კურორტის ელექტრიფიკაცია. წყალგაყვანილობის გამართვა. აშენდება პოლიციის ადმინისტრაციული შენობა. დაიწყება მიწის დაგეგმვითი სამუშაოები. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მუშაობა მიმდინარეობს სააგარაკო სახლების პროექტის რამდენიმე ვარიანტზე. მოგვარდება დასუფთავების პრობლემაც. მამაკაიშვილმა გვითხრა, რომ დაიწყება დასუფთავების მოსაკრებლის აღება. „შემოღებული იქნება ადგილობრივი გადასახადი. ამით კურორტს გაუჩნდება საკუთარი შემოსავალი“.

დროებით შეჩერებულია ა(ა)იპ გომისმთის განვითარების ცენტრის მუშაობა. „ჯერ არ ვიცით ა(ა)იპ განაგრძობს მუშაობას თუ რამე სხვა უფრო ეფექტურ მექანიზმს მოვიფიქრებთ. მთავარია, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება. იმდენს გავაკეთებთ, გომისმთამ ბახმაროს აჯობს“, – გვითხრა გია მამაკაიშვილმა.

განცხადებები

იყიდება 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა. მისამართი: ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩა, 25-ე კორპუსი ბინა 25. ტელ. 593 23 65 43. კუპური როყვა.

იყიდება დოლომიტი ფასი შეთანხმებით ტელ: 571 00 11 14 555 91 08 65

„ნაცრეჟიმის“ ცნობილ „გამპრავებელ“ და „შემსრულებელ“ მოსამართლეთა სიაში ოზურგეთის სასამართლოს მოსამართლე ნარგიზ ცეცხლაძეცაა

„კვირის პალიტრასთან“ საუბარში ადვოკატმა ზურაბ ჯორბენაძემ დაასახელა 60-ზე მეტი მოქმედი მოსამართლე, რომლებიც „ნაცრეჟიმის“ ცნობილი „გამპრავებლები“ და „შემსრულებლები“ არიან! ამ სიაში ოზურგეთის სასამართლოს მოსამართლე ნარგიზ ცეცხლაძეცაა შეყვანილი.

ზურაბ ჯორბენაძე საქართველოს პრეზიდენტს არცხვენს კუბლაშვილისათვის მადლობის გამოცხადების გამო. მან საკუთარი ძმაც არ დაინდო და ის ცნობილ „გამპრავებლებსა“ და „შემსრულებლებში“ დაასახელა:

„ნინო გვენეტაძის წარდგენის დროს, მარგველაშვილმა კუბლაშვილს მადლობა გადაუხადა. მე ძალიან მრცხვენია იმ ქვეყნის მოქალაქეობა და შემირცხვენია იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც მთავარ უსამართლოს, ხალხის მთავარ გამაუბედურებელსა და უკანონობის დამდგენს, კონსტანტინე კუბლაშვილს მადლობას ეტყვის - 300 ათასი კაცის გაუბედურებისთვის. მოგიყვებით ისეთ ამბებს, რომელიც სასამართლო სისტემის მთელ შიდა სამზარეულოს აღწერს, იმას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსამართლეებმა და რამდენიმე კაცმა იცის. ეს რამდენიმე კაცი არის სააკაშვილი, ადეიშვილი, კუბლაშვილი, მეიშვილი, ბატონი ჩემი ძმა - ომარ ჯორბენაძე. ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც სასამართლო სისტემის გარეთ ვარ და ვიცი მოქმედი მოსამართლეების წარსული საქმიანობა და მათ მიერ ჩადენილი ყველა სიბინძურე! ვიცი იმიტომ, რომ ისინი ყველა ჩემი ძმის მეგობრები იყვნენ, ყოველდღიურად მათ წრეში ვტრიალებდი და ყველა მათგანს ვიცნობ პირადად“, - ამბობს ზურაბ ჯორბენაძე.

პატარა გურულების გენიოსობა

ჩამოტეხილი მთვარე

სკოლამდელი ასაკის გიორგი, ერთ საღამოს, დედასთან და მეზობელ ქალებთან ერთად, ეზოში რომ სეირნობდა, სავსე მთვარემ გამოანათა.

— შეხედეთ, რა ლამაზია, ახალგამომცხვარ მჭადს ჰგავს ეს დალოცვილი. — აღფრთოვანება ვერ დამალა ერთ-ერთმა ქალმა.

— ჰგავს კი არა, ნამდვილი მჭადია, — დამაჯერებელი სიბეჯითით თქვა მეორემ.

გიორგის მჭადი ძალიან უყვარდა და ამიტომაც დედას ვედრებით მიმართა:

— დედიკო, ჩამომიტეხე რა, პაწა!

დედამ მცირეწლოვანთათვის გასაგებ ენაზე, ბავშვს დაუსაბუთა, მთვარე მჭადი არ არის და მისი ჩამოტეხვა შეუძლებელია.

გავიდა რამდენიმე დღე და ღამით, დედასთან ერთად მოსეირნე გიორგიმ ნახევარმთვარე რომ დაინახა, დედას სასტიკად უსაყვედურა:

— დედიკო!!! რატომ მომატყუე, მთვარე არ ჩამოიტეხებაო. შეხედე, ხომ ჩამოუტეხია ვინცხას!!!

მარილების მაგივრად შაქარი რომ დაგეგროვებია

პატარა მურმანის დედას, სხეულში მარილების დაგროვებით გამოწვეული ტკივილები სასტიკად აწუხებდა და გამწარებული წუწუნებდა:

— ვაი, რა დღეში ვარ, მომკლა ამ მარილების დაგროვებამ!

— დედიკო! მარილების მაგივრად შაქარი რომ დაგეგროვებია, არ აჯობებდა?!

— უსაყვედურა გაკვირვებულმა მურმანმა.

ყურებშიც რომ გლანდები ყოფილიყო

მეოთხეკლასელ ნოდიკოს ყელი სასტიკად ასტკივდა და ექიმმა გლანდების სასწრაფოდ ამოკვეთის დასკვნა გამოუტანა.

ბიჭი, რა თქმა უნდა, ოპერაციაზე არ დათანხმდა, მაგრამ მამამ უთხრა, წამოდი საოპერაციოდ და ოჯახის თითოეული წევრი, თითოეულ ამოკვეთილ გლანდში ოც ლარს მოგცემთო.

ნოდიკომ გაიანგარიშა და დარწმუნდა, რომ, რადგანაც ყელსა და ცხვირში ოთხი გლანდი იყო ამოსაჭრელი, ხოლო მათი ოჯახი ექვსი წევრისაგან შედგებოდა, ოპერაციაზე დათანხმების შემთხვევაში, თავისი ასაკისათის საკმაოდ სოლიდური თანხა დაუგროვდებოდა და, ცხადია, თანხმობა განაცხადა.

პოლიკლინიკისაკენ რომ წავიდნენ, ნოდიკომ იკითხა:

— მამიკო, ყურებში არ არის გლანდები?

მეც ისე ვსისავდე მინდა,

ოთხი წლის ქეთინომ დედას მოუხმო და ვედრებით უთხრა:

— დედიკო, ერთი რამე უნდა გთხოვო და უარი არ მითხრა, იცოდე!

— რა გინდა შვილო?

— რა და ჩემი ძმაი მიშიკო რომ სისავს, მეც ისე ვსისავდე მინდა, რა!

როლანდ თავაძე.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

დასაწყისი იხ. №№9-13

უილიამ გილბერტი (1540-1603). 1600 წელს გამოაქვეყნა პირველი უდიდესი ინგლისური სამეცნიერო ნაშრომი „მაგნიტის, მაგნიტური სხეულებისა და დიდი მაგნიტური სხეულის, დედამიწის შესახებ“. იყო დედოფალ ელისაბედის ექიმი (1600-1603 ??.). მან შეისწავლა მაგნეტიზმი და დაამკვიდრა ტერმინი „ელექტრობა“, რაც პოპულარული გახადა და სისტემურად გაფანტა იმდროინდელი მითები.

გილბერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მაგნეტიზმი არის მთავარი, რითაც პლანეტები ჩედება საკუთარ ორბიტებზე. ამან შექმნა უხილავი ძალების კონცეფცია და ახსნა სამყაროს მოქმედების იდეა. მან სწორად ივარაუდა, რომ ატმოსფერო არც ისე ღრმაა და სივრცის უმეტესი ნაწილი პლანეტებს შორის ვაკუუმს უკავია. მან შემოიტანა ტერმინები: „მაგნიტური პოლუსი“, „ელექტრული ძალა“, „ელექტრული მიზიდულობა“, ტერმინი „გილბერტი“, რომელიც მაგნიტური მოძრაობის ძალას აღნიშნავს. სწორედ მისი აღმოჩენის წყალობით გაჩნდა ტერმინი „ელექტრობა“.

მისი წვლილი მაგნეტიზმის შესწავლაში გამოიხატება იმ მტკიცებულებაშიც, რომ დედამიწა მოქმედებს, როგორც მაგნიტი და აქვს მაგნიტური პოლუსები.

გალილეო გალილეი (1564-1662). იტალიელი მეცნიერი. 1610 წელს შექმნა და ააწყო სხივის გარდამტეხი ტელესკოპი. გამოაქვეყნა დაკვირვებები „ვარსკვლავების მაცნე“, ნაშრომი „მსოფლიოს ორი მთავარი სისტემის შესახებ“.

გალილეიმ პირველად აღმოაჩინა მთვარეზე კრატერები და



მთები, მზის ლაქები, ვენერას მთვარისებრი ციკლები და შეამჩნია შორეული ვარსკვლავები. კიდევ უფრო დიდი იყო იუპიტერის აღმოჩენა, ოთხი მბრუნავი მთვარით მის გარშემო, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ აზრს და ეკლესიის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ყველა ციური სხეული მოძრაობს დედამიწის – „სამყაროს ცენტრის“ გარშემო.

რენე დეკარტი (1596-1650). დეკარტეს ეკუთვნის ყველაზე ფილოსოფიური გამოთქმები: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“.

„მომეცით მასალა და მოძრაობა და მე ავაშენებ სამყაროს“. რენე დეკარტე ითვლება თანამედროვე გაგებით პირველ „ჭეშმარიტ მათემატიკოსად და ფილოსოფოსად“. 1637 წელს გამოსცა ნაშრომი, სადაც აღწერა მათემატიკის გამოყენება კოსმოსში კონკრეტული ობიექტის საპოვნელად. ამ თეორიას შეეძლო განესაზღვრა კოსმოსში ობიექტის მოძრაობის კურსი და მოგვცა ფიზიკური კუთვნილებისა და მოძრაობის საწყისი ცოდნა.

ბლეზ პასკალი (1623-1662). 21 წლის ასაკში პასკალმა

შექმნა დასრულებული მოწყობილობა, რომელსაც ჯიბის პირველი კალკულატორი შეიძლება დაერქვას. მან გამოიგონა სახანძრო ტუმბო და 1650 წელს ჰიდრავლიკური წნეხი.

გამოთვლითი მოწყობილობის შვიდმა ეგზემპლარმა, რომლებიც მან 1649 წელს დაამზადა, დღევანდლამდე მოაღწია.

პასკალმა პირველად დაამტკიცა პრაქტიკულად იტალიელი მეცნიერის ბორჩელის მოსაზრება, რომ ჰაერის წნევა მცირდებოდა დიდ სიმაღლეზე ასვლისას.

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გიორგი ცაბაძე; სასწორის გამომგონებელი – დედალოსი; თმის ბუნებრივი საღებავი – ინა; სარეცხი საშუალება – საპონი; ანბანის პირველი ასო – ა; ბალზაკის სახელი - ონორე; ბიჭო აჭარულად – ჯო; სახელმწიფოებრივი ვალდებულება – მისია; თუთიყუში – რა; სოფელი ჩოხატაურის რაიონში – გორაბერეჟოული; ინგლისელი პოეტი – ბაირონი; სოფელი სამაჩაბლოში – ერგნეთი; ბაწარი – თოკი; მამაკაცის სახელი – რონი; პოეზიის სახეობა – ლირიკა; ქორწინების მფარველი – ჰერა; არგონავტების ტრანსპორტი – არგო; კოსტასთავის შეთქმულების მონაწილე – კუპრი; ტირიფი – ძეწნა; მარადმწვანე მცენარის ფოთოლი – წიწვი; მუელლე – ცოლი; გიორგი მოფერებით – გიო; ეჟვანი გურულად – რაჟი; გარეული ცხოველი – ირემი; ჩაის სახეობა – ლაო; გამძახილი – ეჰო; მოქანავე საწოლი – ჰამაკი; ქალის სახელი – ანა; კუთხე საქართველოში – სვანეთი; სარეცხი ფხვნილი – აინა; წყალქვეშა კლდე – რიფი; მარტის ძველი სახელწოდება – მირკანი; სახელმწიფო აფრიკაში – მაროკო; ქალაქი ეთიოპიაში – გონგორა; ძვირფასი თევზი – თართი; ქალის სახელი – თეო; დასარტყმელი ინსტრუმენტი – დაფი; ვიეტნამის დედაქალაქი – ჰანოი; გურული ლობიოს სახეობა – ქონა; ქედის ნაწილი – მთა; ააგენტო – იფრინდა; ქსოვილი – დრაფი; მდინარე ალჟირში – მინა.

გურული ფირალების ცხოვრებიდან

მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

(გაგრძელება, დასაწყისი ალიონი №13)

ენვერ გოგუაძე

ჯუმათის მონასტერს თავს დაესხნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ამორჩეული ღამის ყარაულები, ანუ ე.წ. ,,სტრაჟები'' და თოფით სიცოცხლეს გამოასალმეს ყოვლად პატიოსანი და ღვთის მსახური მამა ამბერკი...შუა ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც მონასტრის მახლობლად სენაკის კარებს მოადგნენ ზემოხსენებული პირნი, ,,ჩვეულებრივი ძახილით გამოაღვიძეს მამა ამბერკი და სთხოვეს კარის გაღება. ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შიშის ზარს დასცემდა მარტო მყოფ ბერ-მონაზონს ის საშინელი სიტყვები: ავაზაკის ამხანაგები ვართო, განსაკუთრებით მაშინ როცა ამბერკის ებარა გასაღები მისდამი რწმუნებული მონასტრისა, რომელშიდაც ინახება არა მცირედი სიმდიდრე ჯუმათის მონასტრისა, აი ამ საშიშარმა სასოწარკვეთილებამ საწყალს ამბერკის აფიქრებინა უკანა კარების გაღება და თუ თავის თავს ვერ უშველიდა მონასტრის სიმდიდრე მაინც დაეცვა მისი გასაღების გადაგდებით. გაალო მან უკანა კარი თუ არა, სწორედ ამ დროს მოჰკლეს იგი და ხელში შეაცივეს გასაღები მონასტრისა. თოფის გრიალმა და არაჩვეულებრივმა ხმაურობამ გამოაღვიძეს საწყალი ამბერკის მახლობლად მყოფნი თანამომმენნი, რომელნიც სასწრაფოდ მისცვივდნენ მამა ამბერკისთან, მაგრამ იგი უკვე იდვა უგრძნობლად და მის გარშემო გულცივად იდგნენ ჩამდენნი ამა საცოდაობისა და მკითხველს პასუხად ეუბნებოდნენ.ავაზაკი გვეგონაო. იგულისხმეთ რომ ეს პირველიქმედება არარის ,,სტრაჟის'' მხრით, არამედ მეორე, და ორივე შემთხვევაში თავი იმით იმართლეს ,,ავაზაკი'' გვეგონაო''.

ავაზაკთა მახვილი აღიმართა მღვდელის, ბერის, ახალგაზრდასა დამხცოვნის თავზე ვითარცა მარადიული სასჯელი ბოროტგანმზრახველთა სასტიკი ქმედებისა. 1890 წლის 25 ოქტომბერს ოზურგეთში ,,ერთი საზიზღარი ბოროტმოქმედება მოხდა: სამსახურიდან გამოსული პოლკოვნიკი ალექსანდრე შევარდნაძე 50 წლის კაცი მოჰკლეს თოფით, საღამოს 9 საათზე. მოვიდნენ რამოდენიმე შეიარაღებულნი ავაზაკნი შევარდნაძის სახლში და დაუძახეს, ... მაზრის უფროსის გამოგზავნილი გახლავართ, ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთო. რასაკვირველია მაშინვე გაუღეს კარები, მაგრამ იმავ წამს გაირკვა თუ რა ბოროტმოქმედები ბრძანდებოდნენ: რაკი შეატყო აწ განსვენებულმა რომ წინდა წყლის კაცებს არ ჰგავდნენ, უთხრა: თქვენ უფროსის გამოგზავნილებს არ გავხართ და ეხლავე იქით წადით საიდანაც მოსულხართო. ამასთანავე ა. შევარდნაძემ ხელიც მოჰკიდა და გარეთ გაგდება მოუნდომა ერთს ავაზაკს, რომელიც უკვე შევიდა სახლში. ამ დროს ქალებმაც მეორე ოთახიდან მორთეს საშინელი წივილ-კივილი. ავაზაკნი დარწმუნდნენ, რომ აქედან ვერაფერს გავიტანთო, სახლის პატრონმაც გვიცნოო და ერთ-ერთმა ესროლა გულში თოფი პოლკოვნიკს და შემდეგ ყველანი თავიანთ გზას დადგნენ. მეზობლებიც ახლო ჰყავდათ შევარდნაძეებს და ადრეც მოვიდნენ მოსაშველებლად, მაგრამ ბოროტგანმზრახველები ექვსნი ყოფილიყვნენ და ამათთვისთვისაც ესროლათ თოფები, თუმცა მოკვლით კი არავინ მოუკლავთ. განსვენებული იყო აქაურის დედათა სკოლის მზრუნველი და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობდა.

.1893 წლის თებერვალს ოზურგეთის მაზრაში მაზრის უფროსის ვახრამოვის ზეობის ჟამს საღამოს ცხრა საათზე სამოქალაქო სკოლის დირექტორზე მოეწყო თავდასხმა.სკოლის დირექტორი კალანდარიშვილი იყო. თავდამსხმელები: ვაშალომიძე, მამულაიშვილი და ჭეიშვილი. მათ კვალს ვერავინ მიაგმო. ცნობილი ავაზაკები ამ შემთხვევაშიაც დაუსჯელნი დარჩნენ.

.1897 წლის 19 ივნისს ერკეთის საზოგადოებაში თავი იჩინა ავაზაკობის ძველმა ნაირსახეობამტყვეთა სყიდვამ. გაზ. ,,ივერია'' წერდა: ,,აქ ერთი საზიზღარი და არა დასათმობი ამბავი მოხდა. 70 წლის მოხუცმა ვინმე მ. გიორგაძემ, რომელიც შვილისშვილებით სავსე და ღრმად მოხუცია, ორის სხვა ვაუბატონის დახმარებით გლეხის სიხარულიძის ახალგაზრდა ცოლი მოიტაცეს, ვაჟურად ჩაცვეს და ახალციხისაკენ წაიყვანეს თურმე ვიღაც ბეგისათვის ძღვნად მისართმევად, მაგრამ ეს საზიზღარი განზრახვა გაუცრუვდათ, ავაზაკებს თურმე ადგილობრივი მამასახლისი შეხვდრით სურებში და შეუნიშავს ვაჟურად გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელიც კაცს სრულებით აღარ ჰგავდა, რასაკვირველია მამასახლისმა მაშინვე ჯეროვანი საშუალება იხმარა და ქალი გაათავისუფლა, ხოლო დამნაშავენი შეიპყრო და ჩოხატაურის ბოქაულს წარუდგინა. ,ამავე წლის 19 ივლისს ჯუმუყვეთის საზოგადოება შესძრა ერთმა საზიზღარმა ამბავმა-უდანაშაულო კაცის კვლამ. სოფელ ჩიჩხათის მკვიდრი, გლეხი ოუსტინე სოხაძე საღამოს 19 ივლისს წავიდა მეზობლისას, ლუკა აფხაზავასას, ცოლს დაუბარა ადრე მოვალო... დიდხანს უცადეს აღარ დაბრუნდა. მას შემდეგ მთელი ოცი დღე გავიდა. ეძებეს, კვალს ვერსად მიაგნეს.14 აგვისტოს უბედური სოხაძე პოლიციამ აღმოაჩინა მკვდარი: ჯერ დასაფლავებული, შემდეგ-საფლავიდან ამოღებული, ცეცხლში დაწვარი და დანაცრებული. აქა იქ ოდნავ ძვალის ნაწვავები შეიმჩნეოდა მიმოფანტული. სოხაძის ცალი მოჭრილი ხელი დარჩენოდათ მკვლელებს მიწაში, რომელიც პოლიციამ იპოვა.სოხაძის მკვლელობის თაობაზე ეჭვი ლუკაია აფხაზავზე იქნა მიტანილი. აფხაზავა მაშინვე დააპატიმრს, მკვლელი გამოტყდა თავის დანაშაულში, მანვე პოლიციის ბოქაულს განუცხადა ,,სოხაძე მოკვალი იმის გამო, რომ ბევრი შეურაცხოფა მომყენაო''.აფხაზავამ სოხაძის მკვლელობაში თანამონაწილეებად დასახელა: ,,იოსებ ბგელაძე და მოსე რუსიეშვილი, სრულიად ალალ-მართალი ადამიანები, რომლებიც პოლიციამ დააპატიმრა. სინამდვილეში - როგრც იქაური მცხოვრებლები ამბობენ. საქმე სულ სხვანაირად იყო: სოხაძე მოუკლავს ლუკაია აფხაზავას, სხვა ორი ამხანაგის დახმარებით, რომლებიც თავისუფლად დათარეშობენ ჯურუყვეთში, რუსიეშვილი და ბგელაძე მკვლელმა იმიტომ დასახელა თავის ამხანაგებად, რომ ბგელაძის და მკვლელის ცოლისძმას დიდი შური ჰქონდათ ერთმანეთში რაღაც წისქვილის თაობაზე; რუსიეშვილი და მკვლელიც ყოფილან ერთმანეთთან უკმაყოფილოდ. სოხაძე რუსიეშვილი და ბგელაძე კარგი ამხანაგები ყოფილან: მკვლელსა და მოკლულს შორის კი ფარული უსიამოვნება არსებობდა .თანახმად სოფლის მკვიდრთა მტკიცებისა: სოხაძე მისულა აფხაზავასთან 19 ივლისს ხარის სათხოვნელად, სოხაძე აფხაზავას ცოტა ხნით შეუყოვნებია. ამ დროს აფხაზავას იქვე ორი ამხანაგი ჰყოლია. უცებ გავარდნილა თოფი და საცოდავი სოხაძე იქვე დაცემულა. აუკაფიათ პირუტყვივით და დაუმარხავთ სხვადასხვა საფლავებში, უფიქრიათ: მკვდარს ნახავენ და ტყვიას შეამოწმებენო, რამდენიმე დღის შემდეგ ამოუღიათ (ცხედარი) მიწიდან,ჩაუყრიან ცეცხლში და დაუწვავთ, მკვლელი ამბობს ცულით მოვკალიო, გამოძიება წარმოეს და ვნახოთ საქმე რას გამოაჩენს.

თოფის წამალივით იფეთქებდა ნერვებ მოუთოკავი გურული. საკმარისი იყო ერთი ხმამაღალი ეთქვა მოპაექრეს და მისი სული უმალ სხეულს გაშორდებოდა, ყველგან და ყოველთვის სიკვდილის აჩრდილი იყო ჩასაფრებული. 1898 წლის 17 აპრილს, ღამის 10 საათზე ჩიჩხათის სოფლის მცხოვრებმა გლეხმა ჩითანა ნაკიძემ მოკლა სოფელ აკეთის მცხოვრები გლეხი გერასიმე ნაკიძე. მიზეზი მკვლელობისა: ,,ნუ ამწყდეგ ღორებს ჩემს საღორეშიო''. მკვლელობა მოხდა ნაჯახით.ოზურგეთის პოლიცია ესოდენ კრიტიკული ვითარების კაცთა კვლისა და სისხლთა თხევის ჟამს გორდიანეს კვანძში იყო გახლართული და არამთუ წესრიგის დაცვას, ავაზაკთა ალაგმვასა და ნორმალური ვითარების დამკვიდრებას, საკუთარ თავსაც ვერარ პატრონობდა და საკუთარი უწყების შენობა-ნაგებობათა დაცვასა და მოვლა-პატრონობასაც ვერარ ახერხებდა. 1898 წლის 21 ივნისს, კვირას, ნაშუადღევს 5 საათზე გადაიწვა ოზურგეთში ორი ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო სამაზრო მმართველობა. დაიწვა და განადგურდა ყოველი ნივთი და ყოველგვარი საქმეები. გადარჩა ცეცხლის საქრობი მანქანა, რომლის მოწყობა 2000 მანეთი დაჯდა, არ გამოუყენებიათ. უფრო მეტიც ეს მანქანა სად არის არავინ არ უწყის.პოლიცია იწვებოდა და კაცი მშველელი არ იყო. მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე სოფელში იყვნენ წასული. ქუთაისის გუბერნატორიდან ამ დროს ოზურგეთში ტელეგრამა მოსულა ,,რა ამბავია! პოლიცია იწვის და ამ დროს კაცი ყურადღებას არ აქცევსო".,,დამწვარი პოლიციიდან'' ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მიმართ აგრესია მაინც არ დამცხრალა. პოლიციის სტრაჟები სდევნიდნენ ავაზაკებს და თითონაც ავაზაკობდენ. აელვარებდნენ მაუზერს და უწყალოდ ღვრიდნენ უდანაშაულოთა სისხლს.

1898 წლის 5 მარტს ,,პოლიციის დარაჯმა'' სტეფანე კალანდარიშვილმა რევოლვერით მოკლა ოზურგეთის მცხოვრები გერასიმე ჯაყელი. მიზეზი მკვლელობისა შემდეგშია: ვ. თავაძემ გახსნა საკონდიტრო მაღაზია, სადაც სტეფანე კალანდარიშვილმა ლუდით შეთრობის შემდეგ მოითხოვა პატენტი. თავაძეს პატენტი ადგილზ არ აღმოაჩნდა. ამაზე შეიქნა ,,დიდი ყვირილი და ვაი უშველებელი ამბავი'', თავაძეს წაეხმარა იქვე მყოფი ჯაყელი, კალანდარიშვილმა იმარჯვა რევოლვერით და თავაძის მოსარჩლე გერასიმე ჯაყელი იქვე გაათავა. უდანაშაულო მოსახლეობის სისხლთა თხევაში დახელოვნებული პოლიციის სტრაჟები ახლა ფირალებს გადასწვდნენ,მაგრამ ნიშანში ახლაც მშვიდობიანი მცხოვრებნი ამოიღეს. ერთი ფირალის მოხელთებასა და შეპყრობას ერთი ,,მიწის მუშა'' ემსხვერპლა. 6 მაისს, სოფელ ჩიჩხათში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა.პოლიციის დარაჯები თავს დაესხნენ ამ სოფლის ერთ-ერთ მცხოვრების სახლს, სადაც იმალებოდა ხვარბეთის საზოგადოების მცხოვრები ყაჩაღი ,,ტ'' და დაიჭირეს კიდეც (ყაჩაღის დაჭერას სამედიცინო შედეგი მოჰყვა.) პოლიციელებმა მოჰკლეს მასპინძლის ცოლი, რომელიც თავდასხმის დროს ბავშვით ხელში გამოვარდა. მათი გასროლის შედეგად დაიჭრა დედის მიერ სასოებით ჩახუტებული ბავშვი.ყაჩაღთან ერთად დაიჭირეს კიდევ ორი ვაუბატონი რომლებიც მასთან სათათბიროდ მისულიყვნენ და რჩევას აძლევდენ. ამნაირი ვაუბატონების შემწეობით ზემოხსენებულმა ყაჩაღმა ბევრი შეწუხება მიაყენა როგორც სოფელ ხვარბეთის ასევე მის (გურიას) ახლო-მახლო მდებარე სოფლებსაც, მაგრამ ამნაირი ვაუბატონების შემწეობით სისასტიკით განთქმული ყაჩაღი დღემდის მაინც ვერ დაიჭირეს და დღესაც მისმა დაჭერამ ორი უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა: დედა და მისი პატარა ბავშვი. აუცილებლობას წარმოადგენს რომ მთავრობამ მიიღოს ზომები ამნაირი ვაუბატონების ასალაგმავად, რომლებიც ხელს უწყობენ ყაჩაღებს, ეხმარებიან ავი საქმის ჩადენაში და თუ საჭირო გახდა კიდევაც ცრუ მოწმეობას ეწევიან, მათი ამნაირი შემწეობით ჩვენში დღითიდღე მრავლდება ავკაცობა, რაც დიდად ხელის შემშლელია მუშა ხალხის კულტურული წინმსვლელობისათვის.

ავაზაკობას, ქურდობას, მკვლელობასა და ძარცვა-გლეჯას მალე ორგანიზებული ხასიათი მიეცა. სოციალიზმის ნათელმა აჩრდილმა ჩამოუქროლა გურიას . მაუზერ შემართული სატანა და კლასობრივ მტერთა მიმართ ცივად მზირალი ,,მარქსიზმი'' და მის საშიში ნაწრთობი იქედნეს ნაშიერნი მანქურთთა ჯიშისანი მომრავლდენ ქედფიცხელ ჩაქუროსანთა სამშობლოში. ,,დადგა რეაქციის მეფობის დრო. ქურდთა და ავაზაკთა თარეშობის ხანა. გამრავლდა ძარცვა-გლეჯა, ავაზაკობა, სრულიად უმიზეზო მკლელობა. შეიძრა მყრალი ჭაობი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აიშალნენ ატმოსფეროს მომწამლელნი ბაქტერიები'', ფირლობა სანატრელი შეიქნა.ავაზაკები კომიტეტის ნებას დაექვემდებარა. ფირალობიდან ტერორისტობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა.

კლასობრივი ბრძოლის ჟინით მოიწამლა ქვეყანა, ლოთობამ და მონურმა ფსიქოლოგიამ წარმოშვა ბრბო, რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა სიძულვილი და სისასტიკე იყო. ამ ბრბოში ისინიც კი კარგავდნენ სახეს, ვისაც მანამდე ზნეობის რაღაც ნიშან-წყალი შერჩენოდა. სადი აზრი შეცვალა მყვირალთა ლოზუნგებმა, გვარის შვილობა-ჩამომავლობა-ანკეტურმა მონაცემებმა, ყველაფერი ბუნებრივი-არაბუნებრივმა, გაბატონდა დორბლმორეული ბილწსიტყვაობა და ადამიანის გაპირუტყვების საოცარი ჟინი. ზნეობა ისეთ დონემდე დავიდა, რომ კაცის კვლა და სისხლის ღვრა სიხარულს და აჟიოტაჟს იწვევდა. გულმხეცობა-სიმამაცედ ითვლებოდა, სიქველე - სილაჩრედ, მახლობლის დაბეზღება და გაცემა - პატრონობად. მისი დამალვა და გადარჩენა – ღალატად''.

ხსოვნა

გივი ჰირილეს ძე მამალაძე

ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვეტერანებს ერთი ფრიად ღირსეული პიროვნება გამოაკლდა. არც ისე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა გივი ვასილის ძე მამალაძე.

გივი მამალაძე დაიბადა 1930 წელს სოფელ ნაგომარში. 1950 წელს ჩაირიცხა თბილისის საერთო საჯარისო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. 1951 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო შეიარაღებულ ძალებში. 1551 წლის აპრილიდან 1951 წლის აგვისტომდე მსახურობდა 1375-ე სამხედრო საერთო საჯარისო ლეგიონში ამერკავკასიის ოლქის ჯარების № 414 საერთო საჯარისო დივიზიაში რიგითად. 1951 წლის პირველი სექტემბრიდან 1953 წლის 11 სექტემბრამდე იყო თბილისის საერთო საჯარისო სასწავლებლის კურსანტი; 1953 წლის 11 სექტემბრიდან 1958 წლის 22 ოქტომბრამდე – ოცეულის მეთაური 28-ე სამთო მსროლელი ლეგიონისა მე-10 გვარდიული დივიზიისა ამერკავკასიის ოლქის ჯარებში; 1958 წლის 22 ოქტომბრიდან 1959 წლის 28 ოქტომბრამდე – ოცეულის მეთაური №35 საერთო საჯარისო ლეგიონში მე-10 გვარდიულ დივიზიაში ამერკავკასიის ოლქის ჯარებში.

1959 წლის 28 ოქტომრიდან 1961 წლის 16 აგვისტომდე მუშაობდა ოფიცრად ქობულეთის სამხედრო კომისარიატში; 1962 წლის 14 აპრილიდან 1963 წლის 16 აპრილამდე – ქობულეთის სამხედრო კომისარიატის მე-4 ნაწილის უფროსად;

1963 წლის 16 აპრილიდან 1965 წლის 10 აპრილამდე – ქობულეთის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის მე-4 განყოფილების თანაშემწედ.

1965 წლის 10 აპრილიდან 1966 წლის 22 აპრილამდე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის განყოფილების უფროსის თანაშემწედ;

1966 წლის 22 აპრილიდან 1975 წლის 13 ოქტომბრამდე – მახარაძის რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-2 ნაწილის განყოფილების უფროსად; 1975 წლის 13 ოქტომბრიდან 1983 წლის 29 მაისამდე – წულუკიძის რაიონის სამხედრო კომისრად. 1993 წლის თებერვლიდან – ხელშეკრულებით ოზურგეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-3 სექტორის უფროსად.

წავიდა ჩვენგან დამსახურებული კაცი, კარგი ოჯახის ხელმძღვანელი, უბადლო მეგობარი და უნაკლო პიროვნება.

ვეშვიდობებით, ჩემო გივი,
ვეშვიდობებით! ნათელში იყავ,
ჩვენც მალე მოვალთ,
არ დაგწყდეს გული.

უახლოესი მეგობრების სახელით,
მურმან დუნდუა.

დაალწევს თუ არა თავს ოზურგეთის „მერცხალი“ სახიფათო ზონას?

ალიონი. დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ოზურგეთის „მერცხალი“ ბოლო წლებში, სეზონის ბოლოს, ქრონიკულად პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ასეა ამჟამადაც. გუნდს ერთი თვეა ახალი მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მიიწვია. თუმცა, გუნდმა შინ ვერ შეძლო უშუალო მეტოქესთან, წალენჯიხის „სქურთან“ მოგება და ფრეს დასჯერდა.

28 მარტს, „მერცხალი“ მუხრანში, „გაგრას“ შეხვდა. ოზურგეთელი კვერენჩხილაძის მიერ 65-ე წუთზე გატანილ გოლს 78-ე წუთზე „გაგრელმა“ ფირცხალაიშვილმა საპასუხო გოლით უპასუხა და კვლავ ფრე 1:1. რა თქმა უნდა, გასვლით მატჩში გათამაშების ერთ-ერთ ძლიერ გუნდთან ქულის მოპოვება წარმატებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამავე დღეს წალენჯიხის „სქურმა“ საკუთარ მოედანზე ხობის „კოლხეთი“-დაამარცხა (2:0) და „მერცხალთან“ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ამ დღეს „ბ“ ზონის კიდევ ერთმა აუტსაიდერმა „ალგეთმა“ „დინამო-2“-თან 3 ქულა მიითვალა („დინამო 2“ თამაშებს აღარ ატარებს).

2 აპრილის ტურის წინ აუტსაიდერები ასე გამოიყურებოდნენ: „სიონი“-31 ქულა, „მერცხალი“-29 ქულა, „სქური“-25 ქულა.

2 აპრილს ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე „მერცხალი“ ქედის „ბეთლემს“ შეხვდა. ამ ჯგუფში გამარჯვებულად უკვე შეგვიძლია ვთქვათ თერჯოლის „საპოვნელაა,“ რომელსაც 58 ქულა აქვს. პლეი-ოფში მოსახვედრად კიდევ ორი გუნდი „ბეთლემი“ და „ბორჯომი“ იბრძვიან. წინა ტურში „ბორჯომმა“შინ „საპოვნელასთან“ 0:0 ითამაშა, „ბეთლემმა“ კი შინ „მეშახტეს“ 2:1 ძლია და „ბორჯომთან“ სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა. ასე რომ, „მერცხალთან“ თუნდაც ქულის მოპოვებას ქედელებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თუმცა „მერცხალმა“ეს მატჩი უკეთ ჩაატარა და მეტად საჭირო 3 ქულა მოიპოვა.

ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი 39-ე წუთზე გავიდა. ოზურგეთელთა დარტყმული ბურთი მეტოქის კარის ძელმა მოიგერია. ასხლეტილ ბურთთან პირველი გიორგი მალაზონია აღმოჩნდა და „ბეთლემის“ კარის ბადეში გაახვია.

54-ე წუთზე ანგარიშის გაზრდა გიგა კვერენჩხელიძეს შეეძლო, მაგრამ თითქმის ცარიელ კარში ვერ გაიტანა, ხოლო ერთ შემთხვევაში ბურთი სტუმრების კარის ხარიხამ მოიგერია.

„მერცხალმა“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მაღრაძე, უგრელიძე, ქურდაძე, მალაზონია, ჩიგოგიძე, ღლონტი, ჭკუასელი (მელაშვილი), ჯაყელი (ხამაშურიძე), ჭედია (ჯოჯიშვილი), კვერენჩხილაძე (ჩხატარაშვილი), ხაჭიპერაძე (ბაქრაძე).

საფეხბურთო ტურნირი ნატანებში

ალიონი. 29 მარტს სოფელ ნატანების სპორტის სასახლეში 2003-2005 წლებში დაბადებული გოგონებისა და ვაჟების ტურნირი გაიმართა მინიფეხბურთში. ტურნირის ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ცენტრი იყო.

გოგონათა ტურნირის ფინალში გურიანთამ ბახვის გუნდი დაამარცხა 2:1 და ტურნირის გამარჯვებული გახდა. მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში ასკანამ ცხემლისხიდის გუნდს პენალტების სერიაში სძლია.

ვაჟების ტურნირში 8 გუნდი გამოდიოდა. აქაც ფინალური შეხვედრის ძირითადი დრო ბოხვაურისა და ჯუმათის გუნდებს შორის ფრედ 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში ჯუმათელები უფრო ზუსტი აღმოჩნდნენ, 2:1 დაამარცხეს მეტოქე და მუნიციპალიტეტის ჩემპიონები გახდნენ.

მე-3 ადგილისთვის მატჩში ნატანებელებმა ბახველები დაამარცხეს – 2:1.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს თასები, შესაბამისი ხარისხის დიპლომები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ტურნირის ორი საუკეთესო ფეხბურთელი ბოხვაურელი ილია ღლონტი და ჯუმათელი მათე ჩხარტიშვილი საფეხბურთო ინვენტარით დააჯილდოვა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, ნატანებელი დავით სიხარულიძე ნატანების გუნდს სპორტული ეკიპირების შეძენას შეპირდა.

დარბაზში მყოფი მაყურებლების წინაშე წარსდგა ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა,“(მელის ნადირიძე), გოგონათა ანსამბლი და საზეიმოდ გაიჭრა დიდი ტორტი.

ანა მეგრელაძე საქართველოს ვიცე-ჩემპიონია!!!

ალიონი. ისეთ ბრძნულ თამაშს, როგორც ჭადრაკია, უპირველესად, მკვირცხლი აზროვნება სჭირდება. მაშასადამე, ჭადრაკი გურულების თამაშია.

№4 საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლე, ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი, 7 წლის ანა მეგრელაძე საქართველოს ვიცე-ჩემპიონია ჭადრაკში 8 წლის ასაკამდე გოგონათა შორის I ლიგაში.

ჩემპიონატში 8 წლამდე ასაკის 28 გოგონა მონაწილეობდა. გადამწყვეტი პარტია ანამ თბილისელ ანა შერაზანაშვილს მოუგო, ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა დააგროვა და საქართველოს ვიცე-ჩემპიონის მედალს დაეუფლა.

ანას, როგორც თვითონ ამბობს, ჭადრაკის ანა-ბანა მშობლებმა შეასწავლა, მათვე მიიყვანეს 6 წლის გოგონა ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში მწვრთნელ ელგუჯა ურუშაძესთან.

მწვრთნელ-შეგირდის ერთწლიან მეცადინეობას კი ასეთი შთამბეჭდავი შედეგი მოჰყვა.

ბატონი ელგუჯა ურუშაძის თქმით, ეს ანა მეგრელაძის შესანიშნავი დებიუტია:

„საჭადრაკო გზაზე ეს ანას შესანიშნავი დებიუტია. უდავოდ პერსპექტიული გოგონაა. ჩვენ ერთად ბევრი უნდა ვიმუშაოთ, თუ უფრო დიდი გამარჯვებების მოპოვება გვსურს“.

ეს სურათი გასულ ორშაბათს გადავიღეთ, როცა თანატოლს ვიცე-ჩემპიონობა პირველებმა ოზურგეთის საჭადრაკო კლუბის აღსაზრდელებმა მიულოცეს.

6-15 ივნისს ფოთში ტარდება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის საგზურის გათამაშება. გაზეთი „ალიონი“ წარმატებას უსურვებს ანა მეგრელაძეს და მზადყოფნას გამოთქვამს მისი ახალი გამარჯვების გასაშუქებლად.

ნატანებში გამართულ ტურნირში მთისპირელმა რევაზ კალანდაძემ გაიმარჯვა

ალიონი. ნატანების სპორტის სასახლეში დიდი სპორტული ღონისძიება გაიმართა, მათ შორის ტურნირი ნარდში, რომელიც გურიის ნარდის ფედერაციამ ჩაატარა.

ტურნირის 16 მონაწილეს შორის გაიმარჯვა მთისპირელმა რევაზ კალანდაძემ. მან ფინალში 3:0 ნატანებელი ემზარ ცენტერაძე დაამარცხა. მესამე ასევე ნატანებელი ჯონდერ ხომერიკი იყო. ოზურგეთის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორმა ავთანდილ სირბილაშვილმა რევაზ კალანდაძე სპეციალური თასით დაჯილდოვა.

ზონალური ინტელექტ-თამაშები დაიწყო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორის ავთანდილ სირბილაშვილის ხელმძღვანელობით, 27 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით მოეწყო ზონალური ინტელექტ-თამაშები, რომელშიც მონაწილეობდნენ:

სოფლების – შემოქმედის, ბოხვაურის, ლიხაურის, დვაბზუს, ცხემლისხიდის, ნასაკირალის, ბახვის, ვაკიჯვრის, ასკანის, მთისპირის, ზემო ნატანების, ქვემო ნატანების, შრომის, კონჭკათის საჯარო სკოლის ინტელექტ -კლუბი.

ინტელექტ-თამაშები მიმდინარეობს 5 ფორმატში, დასრულდა პირველი (სპორტული ვერსიის) ეტაპი.

მოაზროვნეებს წინ კიდევ 4 განსხვავებული ფორმატის ინტელექტ-თამაშები ელით, საგაზაფხულო ჩემპიონატი დასრულდება მაისის ბოლო კვირაში.

საქართველოს პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

29-31 მარტს, თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-200 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი. 85 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ედუარდ ღლონტი, ხოლო III საპრიზო ადგილი დაიკავა 63 კგ წონით კატეგორიაში გია გორგაძემ. ორივეს წვრთნიან გურამ და დავით მაჭარაშვილები. II საპრიზო ადგილი დაიკავა 63 კგ წონით კატეგორიაში დავით ბაკურაძემ, მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები.

სასწავლო-საწვრთნო შეკრება 2 აპრილიდან ჩატარდება ბათუმში. სამივე მოჭიდავე შეყვანილია საქართველოს ნაკრებ გუნდში და მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისი ტურნირებზე. დაკომპლექტდება ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

6 აპრილი	7 აპრილი	8 აპრილი	9 აპრილი	10 აპრილი	11 აპრილი	12 აპრილი
მზე, +10+19	მზე +12+23	წვიმა, +8+16	წვიმა, +7+12	წვიმა +5+8	წვიმა +3+8	მზე, ღრუბელი, +5+8
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა